**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი**

**2016 წლის მეორე კვარტლის**

**ანგარიში**

2016 წლის მეორე კვარტალში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ჩატარდა ოთხი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

**სულ გადამზადდა 224 მსმენელი.** აქედან, 112 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 112 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები.

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

**224 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო 143 ქალი და 81 მამაკაცი.**

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

**35 წლამდე - 136 მსმენელი; 50 წლამდე - 73 მსმენელი; 65 წლამდე - 15 მსმენელი.**

2016 წელს, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, გაიცა სერტიფიკატის სამი კატეგორია. მათ შორის:

„წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ – **7 სმენელი;**

„კარგად ჩააბარა ტესტირება“ – **146 მსმენელი;**

„დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – **61 მსმენელი;**

ვერ გადალახა ზღვარი - **10 მსმენელი;**

მსმენელთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტების (224-დან წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 209 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

**1. ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის:**

ძალიან კარგი - **172 მსმენელი; 82,3 %**

დამაკმაყოფილებელი - **37 მსმენელი; 17,7 %**

არადამაკმაყოფილებელი - **0 %**

**2. მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:**

ძალიან წარმატებული - **87 მსმენელი; 41,6%**

წარმატებული - **121 მსმენელი; 57.89%**

წარუმატებელი - **1; 0.48%**

**3. მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:**

ნორმალური - **166 მსმენელი. 79.43 %**

ხანგრძლივი - **6 მსმენელი; 2,8 %**

ხანმოკლე - **37 მსმენელი; 17.7 %**

**4. მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:**

აუცილებელია - **147 მსმენელი. 70.33 %**

საჭიროა - **61 მსმენელი; 29.19 %**

არ არის საჭირო - **1 მსმენელი; 0,4 %**

**5. ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:**

კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - **132 მსმენელი; 63,15 %**

კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისია - **74 მსმენელი; 35.4 %**

არაკვალიფიციურად არის შედგენილი - **3 მსმენელი; 1.44 %**

დღემდე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გადამზადებულია 1089 შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი.

მათ შორის: 445 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 644 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები.

**სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია**